



კვირას თბილისში, დელისის მიდამოებში, გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლო, V ეტაპის შეჯიბრება 250 და 500 კბ სმ-ის მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით კროსში. 500-ანებით რბოლაში სპორტსმენები ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოდნენ, ვინაიდან კიეველმა ვ. კრასნოშჩეკოვმა ოქრო წინა კვირას რუსთავში გამართულ IV ეტაპზე დაისაკუთრა. სამაგიეროდ, თბილისში ოქროს მედლის ბედი 250-ანებით რბოლაში გაირკვა. უმაღლეს ჯილდოს ლენინგრადელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. მოისეევი დაეპატრონა.

* * *

სურათებზე: გ. მოისეევი დისტანციაზე; მოასპარეზენი ერთ-ერთ მოსახვევთან.

ო. გელაშვილის ფოტო.

(ჩემპიონატის V ეტაპის ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 206 (4716)

1972 წ. 17 ოქტომბერი, სამშაბათი,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# საქართველოს ჩოგბურთელთა კიდევ ერთი დიდი წარმატება

## თასების მფლობელნი: თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდი და ცსკა-ს ქალთა გუნდი

არცთუ დიდი ხნის წინათ დონეცკიდან, სადაც ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი ტარდებოდა, სასიხარულო ცნობებს ვღებულობდით საქართველოს ჩოგბურთელთა წარმატების შესახებ. ახლა კი წლევანდელი საკავშირო პირველობის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა და ვიცე-ჩემპიონმა თ. კაკულიამ, აგრეთვე, ლ. მძინარიშვილმა დუშანბეში სსრ კავშირის თასი მოიპოვეს.

დუშანბეში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური და ფინალური მატჩები. ნახევარფინალში თბილისის „დინამომ" „მშრალი" ანგარიშით (5:0) სძლია კიევის თანაკლუბელებს.

ფინალში თბილისის დინამოელები ცსკა-ს ჩოგბურთელებს შეხვდნენ. გამარჯვება ამჯერადაც თბილისელებს დარჩათ და, ბუნებრივია, თასიც მათ დაისაკუთრეს. აი, როგორ წარიმართა ეს მატჩი: თავდაპირველად გაიმართა ა. მეტრეველისა და შ. ტარპიშჩევის შეხვედრა. მეტრეველმა პირველი ხელი იოლად მოიგო (6:1), მაგრამ მომდევნო წააგო (3:6). ეს იყო და ეს, მერე ტარპიშჩევმა ვერაფერი გააწყო თბილისელთან და ზედიზედ ორი პარტია დათმო (2:6, 3:6). თ. კაკულიას მეტოქე იყო ვ. ეგოროვი. ამ შეხვედრაში კაკულიას ბედი, რომ იტყვიან, ბეწვზე ეკიდა. მან პირველი პარტია დაძაბულ ბრძოლაში მოიგო (7:5), მაგრამ მომდევნო ორი ხელი წააგო (3:6, 0:6). მერე თბილისელმა შეძლო მდგომარეობის გაწონასწორება (6:4). გადამწყვეტ პარტიაში ეგოროვი დაწინაურდა (4:2), მაგრამ განსაცდელის ჟამს თეიმურაზმა მაინც შეძლო ჩარხის წაღმა დატრიალება და გაიმარჯვა (6:4). შემდეგ მოეწყო წყვილთა შეხვედრა. თბილისელთა ახალმა „დუეტმა" — მეტრეველმა და კაკულიამ სძლიეს ეგოროვსა და ვ. კოროტკოვს — 4:6, 6:3, 6:3, 6:3. შეჯიბრების ბოლო დღეს მეტრეველმა დაამარცხა ეგოროვი — 6:3, 6:3, 9:7, ხოლო ლ. მძინარიშვილმა წააგო შეხვედრა კოროტკოვთან.

ქალებში თასი მოიპოვა ცსკა-მ, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ო. მოროზოვა, ე. გრანატუროვა და ნ. რადაევა. ცსკა-მ ფინალური მატჩი მოუგო ალმა-ათის „ლოკომოტივს".

# გაიმარჯვეს სტუმრებმა

თეირანი, 16 ოქტომბერი. აქ სტუმრად არიან საქართველოს მოცურავეები და წყალბურთელები. დღეს გაიმართა მათი შეხვედრა ირანელ სპორტსმენებთან. სტუმრებმა იმარჯვეს სპორტის ორივე სახეობაში. წყალბურთელთა მატჩი დამთავრდა ანგარიშით 10:3 საქართველოს წარმომადგენელთა გამარჯვებით, მოცურავეებმა მოიგეს 3 დისტანციაზე შეჯიბრება, მეოთხეში კი პირველი ადგილი მასპინძელთა წარმომადგენელს ხვდა.

# ქულებს ფინიშზე ითვლიან

სკოპლე, 14 ოქტომბერი. უამრავი მაყურებელი და შეჯიბრების ყველა მონაწილე შეიკრიბა ამ ქალაქის „უნივერსალურ დარბაზში", რათა საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებულებს მისალმებოდა და ასპარეზობის საზეიმო დახურვას დასწრებოდა.

მაღალი გუმბათის ქვეშ ორჯერ აჟღერდა საბჭოთა ქვეყნის ჰიმნი — ქალთა და ვაჟთა გუნდების ტრიუმფის აღსანიშნავად. ორჯერ აფრიალდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი და დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა.

ერთ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბედნიერნი იდიმებოდნენ მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი და სსრ კავშირის ჩემპიონი, 18 წლის ი. ლევიტინა. მეორე კვარცხლბეკზე ოქროს ჯილდოებს იღებდა საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, აგრეთვე, ვ. კორჩნოი, 20 წლის ა. კარპოვი, ქვეყნის ჩემპიონი ვ. სავონი და გუნდის კაპიტანი პ. კერესი.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მიიღეს: ქალებში — რუმინეთისა და უნგრეთის ნაკრებმა გუნდებმა, ვაჟებში — უნგრეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

მაკედონიის დედაქალაქში ქალთა მეხუთე საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდა და საბჭოთა გუნდმა მეხუთედ მოიპოვა უმაღლესი ჯილდო.

ვაჟთა ოლიმპიადა საიუბილეოა — მეოცე. საბჭოთა ნაკრები მეთერთმეტედ გამოვიდა და მეთერთმეტედ მოიპოვა გამარჯვება. საბჭოთა დიდოსტატებმა ყველა ოლიმპიადაში 473 პარტია მოიგეს, 296 შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს და მხოლოდ 26 წააგეს. ბრწყინვალე შედეგია!

წლევანდელ საჭადრაკო „ოლიმპიურ თამაშებში" ქალთა შორის პირველ დაფაზე საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ნ. გაფრინდაშვილს — 6,5 ქულა 8-დან (81,2 პროცენტი), მეორეზე კი კუშნირს — 7 ქულა 8-დან (87,5 პროცენტი).

ვაჟთა შორის პირველ დაფაზე საუკეთესო იყო გფრ-ის წარმომადგენელი დიდოსტატი ჰიუბნერი, რომელმაც წინასწარ და ფინალურ შეჯიბრებებში 18-დან 15 ქულა დააგროვა (83,3 პროცენტი). მეორე დაფაზე კარგად ითამაშა კორჩნოიმ — 11 ქულა 15-დან (73,3 პროცენტი). მესამე დაფაზე წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა დიდოსტატმა ლიუბოევიჩმა — 19-დან 15,5 ქულა (81,6 პროცენტი). ოლიმპიადაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი მოიპოვა ტალმა, რომელიც მეოთხე დაფაზე თამაშობდა — 14 ქულა 16-დან (87,5 პროცენტი). „მთავარსარდლობის რეზერვში" ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინა კარპოვმა: იგი თხუთმეტჯერ მიუჯდა საჭადრაკო მაგიდას თანაგუნდელის შესაცვლელად და 13-ჯერ გაიმარჯვა (86,7 პროცენტი).

... შეჯიბრება საზეიმოდ დაიხურა. იუგოსლავიის ექვსივე რესპუბლიკის ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ტრიბუნები წითელი მიხაკებით აავსეს.

კიდევ ერთი საჭადრაკო ოლიმპიადა ისტორიის კუთვნილება გახდა. მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ახალი შეხვედრა ორი წლის შემდეგ მოეწყობა ნიცაში.

# ერთი ქულის სხვაობით

აშხაბადი, 16 ოქტომბერი. აქ სამ დღეს მიმდინარეობდა საკავშირო ჩემპიონატი საავტომობილო მრავალჭიდში, რომელშიც მოძმე რესპუბლიკათა უძლიერესი სპორტსმენები გამოდიოდნენ. 102 ქულით პირველობა მოიხვეჭა რსფსრ-ს ნაკრებმა კოლექტივმა. მეორე ადგილზე არიან ესტონეთის (101), მესამეზე — უკრაინის (100) წარმომადგენლები.

პირად პირველობაზე სწრაფ მანევრირებაში ოქროს მედალი დაისაკუთრა (გაზ-51-ის მარკის ავტომანქანები) გ. ვირკმა (ესტონეთი). ვერცხლის მედალი წილად ხვდა ვ. ბალაშოვს (რსფსრ), ბრინჯაოსი — ტ. იანოვსკის (ლატვია). გაზ-24-ის მარკის ავტომანქანების ფიგურულ მართვაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. ნევმერჟიცკი (უკრაინა), ი. პავსკი (ყაზახეთი), ვ. მიაესეპი (ესტონეთი).

# [illegible]

## ლევან გოგეშვილთან ერთად

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო-საჰაერო ძალების პარაშუტისტთა საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც თბილისის ახლოს ტარდება, კიდევ რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დამყარდა.

1000 მეტრიდან ღამით ჯგუფურ ხტომაში ვაჟთა ტრიო (ე. გლადალოვი, ბ. ლეონოვი, ნ. უშმაევი) ზუსტად ცენტრში დაეშვა. მეორე ტრიო კი, რომლის შემადგენლობაში ლ. გოგეშვილთან ერთად ფ. ალექსეევი და ვ. ერშოვიც იყვნენ, 600 მეტრიდან ხტომით ცენტრიდან 0,04 მეტრზე დაეშვა და მსოფლიო რეკორდი 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

ქალებმაც ბრწყინვალედ იასპარეზეს: მსოფლიო ჩემპიონი ა. დიუჟევა 600 მეტრის სიმაღლიდან ორჯერ ზუსტად ცენტრში დაეშვა. ასეთივე წარმატებას მიაღწია ნ. სირიჩინამ, ოღონდ იგი 1000 მეტრიდან გადმოხტა.

# დამცხრილული „ირემი"

მინსკში დაიწყო ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატის II ეტაპი. შეჯიბრება უფრო გუნდურია, ვინაიდან პირადი პირველობა აქვე ზაფხულში, მიუნხენის ოლიმპიადამდე მოეწყო.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 50 მეტრზე 60 გასროლაში ყველას შეიარაღებულ ძალთა პირველმა ნაკრებმა აჯობა — ა. სიდოროვმა, ვ. პარხიმოვიჩმა, ვ. გიშევმა და ვ. დანილჩენკომ 2378 ქულა მოაგროვეს და „დინამოს" პირველ გუნდს 14 ქულა მოუგეს. III ადგილზეა დოსაafის ნაკრები — 2360 ქულა.

ქალთა შორის მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა ზ. გუმენიუკის („დინამო" II) გამარჯვებით დამთავრდა — 588. ეს მსოფლიო რეკორდზე 5 ქულით უკეთესია.

პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში შეიარაღებული ძალების ქალთა მეორე ნაკრებმა 1742 ქულა მოაგროვა, რაც მსოფლიო მიღწევაზე უკეთესი შედეგია.

პირველ დღეს რეკორდებიც დამყარდა. ერთი მიღწევა ეკუთვნის დუშანბელ გ. პოლოსინს, რომელმაც „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლით 250 შესაძლებლიდან 244 ქულა მოაგროვა და ქულით გააუმჯობესა საკავშირო მიღწევა. მეორე რეკორდი ამავე ვარჯიშში დოსაafისა და პროფკავშირთა ნაკრების წევრებმა პოლოსინმა, ი. ნიკიტინმა, ვ. პოსტოიანოვმა და გ. სოსტკოვმა გუნდურ ვარჯიშში დაამყარეს — 944 ქულა. ეს კი 10 ქულით აღემატება სსრ კავშირის რეკორდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# სარბიელზე — წესრიგის დამცველები




რუსთავში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

ნორმატივებს აბარებენ მეტალურგიული, ქიმიური, ბოჭკოს, ცემენტის ქარხნების, ქიმიური კომბინატის მუშა-მოსამსახურეები, ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების მოსწავლეები და სხვ. მათ მხარში ამოუდგნენ „დინამოს" № 3 ფიზკულტურული კოლექტივის წევრები. შინაგან საქმეთა რუსთავის საქალაქო განყოფილების მუშაკებმა დავით გარეჯის მონასტერში მოაწყვეს ტურისტული ლაშქრობა, იქვე გამართეს ასპარეზობა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრზე სროლაში. გასულ კვირას მათ „მეტალურგის" სტადიონის სარბენ ბილიკებს მიაშურეს. 100 მეტრზე რბენაში ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარეს ნორმატივები სპორტის ოსტატმა გ. მაზანაშვილმა, აგრეთვე დ. ჯანყარაშვილმა, ა. წიკლაურმა, დ. გნოლაძემ და რ. ბელქანიამ.

ხელყუმბარა ოქროს სამკერდე ნიშანზე ტყორცნა გნოლაძემ. ვერცხლი მოიპოვეს ფ. კენკებიშვილმა, წიკლაურმა, ბელქანიამ, ა. ბალაჯოვმა, მაზანაშვილმა და თ. გოდერიძემ.

სიგრძეზე ხტომაში თავი გამოიჩინეს დ. ჯანყარაშვილმა, წიკლაურმა, მაზანაშვილმა, ბალაჯანოვმა, გ. ადეიშვილმა.

ღერძზე მიზიდვაში ყველას აჯობეს მაზანაშვილმა, წიკლაურმა, გ. ხარაძემ, ჯ. ბუბუტეიშვილმა და ა. ბახტურიძემ.

**რ. გაბრიჭიძე.**
(ჩვენი კორ.).

• • •

სურათებზე: ხელყუმბარას ტყორცნის დ. გნოლაძე; ცეცხლის ხაზზეა ვ. სიუკაევი.

ავტორის ფოტოები.

## ახალ კომპლექსს — კომკავშირული ზრუნვა

გაიმართა საქართველოს კომკავშირის ასპინძის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „შშდ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ცხოვრებაში დანერგვისთვის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ". მოხსენება გააკეთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ცინაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. დიასამიძე, ოშორის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ჯ. მეფარიძე, რაიკოოპერატივის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. წითლანაძე, ნაქალაქევის საშუალო სკოლის მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ლ. მაისურაძე, დოსააფის რაიკომის თავმჯდომარე შ. ივანიძე და რაისაავადმყოფოს ექიმი მ. წინწკალაძე.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულებმა ილაპარაკეს ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის მნიშვნელობაზე. აღინიშნა, რომ რაიონში 1865 კაცია ჩაბმული ნორმატივების ჩაბარებაში. ყველა ნორმატივი უკვე 100-ზე მეტმა ფიზკულტურელმა ჩააბარა. კარგად მუშაობენ ასპინძის, ოშორის, რუსთავის, იდუმალის, დამალის, ტოლოშის სასკოლო, ძველის, ნაქალაქევისა და რაისაავადმყოფოს ფიზკულტურული კოლექტივები.

ცუდი მუშაობისთვის გააკრიტიკეს თოკის, ოთის, აწყვიტის, ჭობარეთის სასკოლო და საკოლმეურნეო ორგანიზაციები.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც რაიონის პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს ავალებს ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ რაიონში გადაჭარბებით და ხარისხიანად მოამზადონ ნიშნოსნები.

**თ. ბერიძე,**
ასპინძის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

# მეტი ყურადღება მივაქციოთ ბადმინტონს

ასკ-ს სპორტულ დარბაზში დამთავრდა თბილისის პირველობა ბადმინტონში. განვლილ შეჯიბრებას თამამად შეიძლება მხოლოდ „ბურევესტნიკის" პირველობა დავარქვათ, ვინაიდან სარბიელზე ასკ-ს ერთადერთი წარმომადგენელი გამოვიდა, დანარჩენები ამ საზოგადოების წევრები იყვნენ. რატომღაც წესად დამკვიდრდა, რომ „დინამოს", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების", „განთიადისა" და „სპარტაკის" ბადმინტონისტები საქალაქო პირველობებში არ თამაშობენ. ან როგორ ითამაშებენ, როცა ამ სპორტსაზოგადოებებში ბადმინტონისტთა ჯგუფები საერთოდ არ არსებობს, თუმცა ცენტრალური საბჭოები საკავშირო შეჯიბრებებს მართავენ.

წლეულს ფიზკულტურის ინსტიტუტში ბადმინტონის სპეციალისტთა პირველი გამოშვება მოეწყო, მაგრამ ბევრმა ახალგაზრდა კურსდამთავრებულმა ქარხანაში მეთოდისტად დაიწყო მუშაობა, ვინაიდან სპორტსაზოგადოებებში ბადმინტონისტთა მწვრთნელების საშტატო ადგილები არ აღმოჩნდა. ეს ყველაფერი ხელს უშლის ბადმინტონის განვითარებას თბილისში და შეიძლება ითქვას, მთელს რესპუბლიკაშიც. მოსაგვარებელია ინვენტარის საქმე. განსაკუთრებით გვჭირდება „შვალბეს" ტიპის ვოლანები. იქნებ ლითონისღეროიანი ჩოგნებისა და „შვალბეს" ვოლანების რეალიზაციის საქმეს კონტროლი რესპუბლიკურმა ფედერაციამ უნდა გაუწიოს, როგორც ეს ზოგიერთ რესპუბლიკაში ხდება.

ვაჟთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა გ. ბორიაკმა (ასკ). იგი პირველი იყო ერთეულთა თანრიგში, ვაჟთა წყვილებში გ. დარიბოვთან და შერეულ წყვილებში ი. კონდრატიევასთან (ორივე — „ბურევესტნიკი") ერთად.

ქალებში ჩემპიონობა მოიპოვა ი. კონდრატიევამ. ქალთა წყვილებში პირველობდნენ რ. ოკინაშვილი და ც. ბაღაშვილი („ბურევესტნიკი"). საპრიზო ადგილები დაიკავეს ა. ქურხაშვილმა, ვ. ევტიუხინამ, ვ. ლიბახმა, ტ. სუხიშვილმა.

დასასრულ, ჩვენი სურვილია, რომ ასეთი მასშტაბის შეჯიბრებები ამიერიდან ქალაქის ცენტრში მდებარე სპორტულ დარბაზებში ჩატარდეს. ასკ-ს დარბაზი მაინც ქალაქის განაპირასაა და შეიძლება მაყურებლის ნაკლებობაც სწორედ ამან განაპირობა.

**გ. ამირხანოვი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# სამი ლიდერი

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თბილისის ოფიცერთა სახლში გრძელდება სოციალისტური ქვეყნების მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი ჭადრაკში. III ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა ე. უბილავამ. მისმა მეტოქემ, პოლონელმა ოსტატმა ი. ადამსკიმ წარუმატებლად გაითამაშა ალიოხინის დაცვა და უბილავამ დიდი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. შემდეგ თბილისელმა ხაფანგში გააბა მეტოქის ლაზიერი, გადამწყვეტი მატერიალური უპირატესობა მიიღო და გამოიყენა კიდეც იგი.

მეორე თბილისელ ოსტატს ა. იზვოზჩიკოვს ბედი არ სწყალობს. III ტურში, უნგრელ ლ. ვადასსთან პარტიაში მას დაახლოებით თანაბარ პოზიციაში მეტოქის მარტივი ტაქტიკური დარტყმა გამორჩა, ცენტრალური პაიკი დაკარგა და იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა.

რ. პოსტლერისა (გდრ) და მ. პოდგაეცის (სსრ კავშირი) შეხვედრაში თეთრები იერიშისკენ ისწრაფოდნენ მეფის, შავები კი ლაზიერის ფრთაზე. პოდგაეცმა მეტოქეს დაასწრო ინიციატივის განვითარება, ეტლებით შეიჭრა თეთრების ბანაკში, ორი პაიკი მოიგო და პარტიის დამთავრების დროს ეს უპირატესობა გამოიყენა.

III ტურის ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა. სწრაფად დაზავდნენ რიგელი ი. კლოვანი და მოსკოველი ვ. ლიბერზონი. ე. ნოვაკმა (ჩეხოსლოვაკია) და ა. ოჟვატმა (უნგრეთი) მეწავე პოზიციაში სვლები გაიმეორეს და ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა. ლ. ცინი (გდრ) დიდხანს ინიციატივას ფლობდა რიგელ ვ. ჟურავლიოვთან შეხვედრაში, მაგრამ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი კარგად იცავდა თავს და მეორე დღეს ყაიმს მიაღწია. ასევე გადადებული პარტიების დამთავრებისას შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დაზავდნენ ე. პრანდშტეტერი (ჩეხოსლოვაკია) და ა. ლოკასტო (პოლონეთი).

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს დასრულდა აგრეთვე პირველი და მეორე ტურის შეწყვეტილი შეხვედრებიც. უბილავამ წააგო ოჟვატთან, ლოკასტომ კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრები პოსტლერთან და ნოვაკთან.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობს სამეული: 2,5-2,5 ქულა აქვთ საერთაშორისო ოსტატ მ. პოდგაეცს (სსრ კავშირი), ოსტატ ა. ოჟვატს (უნგრეთი) და ოსტატობის კანდიდატ ე. პრანდშტეტერს (ჩეხოსლოვაკია), 2-2 ქულა მოაგროვეს ი. კლოვანმა (სსრ კავშირი) და ლ. ვადასმა (უნგრეთი).

**ა. ბუსლაევი,**
სპორტის ოსტატი.

## ასპარეზობენ ჩოხატაურელი მეხანძრეები

ჩატარდა ჩოხატაურის რაიონული პირველობა სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რაიონის 10 კოლმეურნეობის, ჩაის სამივე ფაბრიკის, „სამტრესტის" ღვინის ქარხნის, რაიკოოპერატივის და ჩოხატაურის ხეხილსანერგე მეურნეობის მოხალისეთა სახანძრო რაზმეულები.

კოლმეურნეობებიდან I ადგილი დაიკავა გორაბერეჟოულის სახანძრო რაზმეულმა. II ადგილზე გავიდნენ ჩაისუბნის, III — ხეხილსანერგე მეურნეობის წარმომადგენლები.

სამრეწველო ობიექტებიდან საპრიზო ადგილები დაიკავეს № 1 და № 2 ჩაის ფაბრიკების, აგრეთვე, „სამტრესტის" ღვინის ქარხნის გუნდებმა.

**დ. გურგენიძე.**
(ჩვენი კორ.).

ჩოხატაური.

## ახალი ამბავი 72

- სპორტული ჟურნალის პრიზზე
- 26 კომისრის ხსოვნისადმი...
- ვეტერანები დაემშვიდობნენ სარბიელს.

● ალმა-ათა, 15 ოქტომბერი. გაზეთ „ვეჩერნიაია ალმა-ათის" პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში მრგვალ სტენდზე სროლა მოიგო მოსკოველმა ა. ალიევმა, რომელმაც 200-დან 198 ქულა მოაგროვა. ადგილიდან სროლაში იმარჯვა ბაქოელმა რ. ალიახჩიკოვმა — 193. ქალთა შორის მრგვალ სტენდზე სროლაში საუკეთესო იყო მასპინძელი ლ. ივანოვა, ადგილიდან სროლაში კი მსოფლიო ჩემპიონი გ. ხომუტოვა (მოსკოვი).

● კალინინგრადი, 15 ოქტომბერი. ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის" პრიზზე აქ გამართული მარათონული რბენა მოსკოველმა ვ. ჩუდინმა მოიგო — 2:18.18,4. წვიმიან ამინდს თუ გავითვალისწინებთ, ეს შესანიშნავი შედეგია. II ადგილი დაიკავა ვორონეჟელმა დ. ბუგაევმა — 2:19.25,0. ფინიშთან მესამე იყო მინსკელი ვ. ბუგროვი — 2:19.45,0. შეჯიბრებამ თავი მოუყარა სამას მძლეოსანს — შარშანდელ მონაწილეებზე ორჯერ მეტს.

● ბაქო, 15 ოქტომბერი. აზერბაიჯანის დედაქალაქში დაიწყო 26 კომისრის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ისა და ირანის მძლეოსნები მონაწილეობენ. ტურნირის პროგრამაში „სპორტის დედოფლის" 25 სახეობა შედის. პირველი გამარჯვებულის სახელი მოიხვეჭა სიმაღლეზე ხტომაში საბჭოთა კავშირის რეკორდსმენმა ა. ლაზარევამ — მან 178 სმ გადალახა.

● ბაქო, 15 ოქტომბერი. თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის თასის პირველმა მფლობელებმა — რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა კვლავ აჯობეს ყველას ამ საპატიო პრიზის გათამაშებაში. შეჯიბრების ბოლო დღეს მოჭიდავეებიცა და მაყურებლებიც დიდი სპორტიდან სახელგანთქმული ათლეტების — მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონების, მახაჩყალელი სპორტსმენების ა. ალიევისა და ი. შახმურადოვის გაცილების მოწმენი გახდნენ. თასის მეორე გათამაშების ფინალში რსფსრ-ს წარმომადგენლებმა უკრაინის მოჭიდავეებს სძლიეს: უფროსებმა — ანგარიშით 28:8, ხოლო იუნიორებმა — 24:16.



# ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

## კოლმეურნეთა მრავალეროვანი ოჯახი

ბოლგრადის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ოდესის ოლქში. კოლმეურნეობას აქვს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: 100-ზე მეტი ტრაქტორი, 40 კომბაინი, 60 ავტომანქანა, 580 ელექტრომოტორი. კალინინელებს მეგობრული მრავალეროვანი ოჯახი აქვთ. აქ მუშაობენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, მოლდაველები, ბულგარელები. ვეტერანების მხარდამხარ თავდადებით შრომობს ახალგაზრდობაც.

კოლმეურნეებმა შრომაც კარგი იციან და დასვენებაც. დიდი ყურადღება ექცევა სპორტს. მაგალითად, საცხენოსნო-სპორტულ სექციაში ასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილია გაერთიანებული. ისინი გამოცდილი ინსტრუქტორის, სპორტის ოსტატ ვ. კისას ხელმძღვანელობით იმაღლებენ ოსტატობას, მონაწილეობენ შეჯიბრებებში.

• • •

სურათზე: მწველავი ე. შიშმანი საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ი. პავლენკოს ფოტო. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა




მარადთოვლიანი მთები, პირქუშ ბუნებაში გაჭრილი საცალფეხო ბილიკები, მკაცრი კლდეების, ხეობების, უფსკრულების თავისებური მშვენიერება, ყინულის საბურველში გაქვავებული სტიქიონი. ეს მთათა სამფლობელო მშიშარა ადამიანებისთვის შეუვალი სამყაროა, მამაცი, ვაჟკაცური ბუნების ხალხის სტუმართმოყვარე მასპინძელი. დიახ, სულმნათი ვაჟას თქმისა არ იყოს, მათს გულში სანთლები დაინთება, როცა ლაღი არწივი დასთამაშებთ თავზე და დასასვენებლად მათს კალთაზე დაეშვება. რამდენი ასეთი არწივისთვის გადაუხსნიათ გულმკერდი ზვიად მთებს, რამდენი ვაჟკაცისთვის უჩვენებიათ ჩვეულებრივი თვალისთვის უხილავი, ფეერიული სამყარო, მზეზე მოელვარე ყინვარებით, მწვანე ალპური მდელოებით, ბრინჯაოსფერი კლდეებით და ყველაზე მდიდრული სანახაობით — მწვერვალებით.

ალბათ გასაგებია რად იზიდავს მამაც ხალხს მთები, ალბათ ადვილად წარმოიდგენთ, რა ძალას აჰყავს ისინი მიუდგომელ, მიუვალ მწვერვალებზე, ალბათ ჩასწვდებით პირველი აღმოჩენით გამოწვეულ სიხარულსა და აღტკინებას, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ნებისმიერი დიდი აღმოჩენა ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ოღონდ ეს აღმოჩენა მწვერვალების უპირველეს დამპყრობთა საიდუმლო სულიერი ცხოვრების სფეროს განეკუთვნება. იქნებ ამიტომაც არის იგი მყინვარწვერის თოვლივით უმანკო და სპეტაკი.

რატომ მიდიან მთაში, რა დაჰკარგვიათ იქ, რაზე საუბრობენ მთებთან, ან პოულობენ რასმე, რაც ერთგვარად აანაზღაურებდა ხიფათსა და რისკს?

ოღონდაც, ოღონდაც... მთები ხომ მხოლოდ უდრეკი სულის ადამიანებს მასპინძლობენ, მთები ხომ მხოლოდ რომანტიკოსებს სცნობენ, მთებში მიმავალი ადამიანები მწვერვალის ძირში ტოვებენ „მდაბალ" პრაქტიკულ მოსაზრებებს, რომ მწვერვალს ყოველმხრივ განწმენდილი ესტუმრონ...

რატომ მიდიან მთაში...

მინდა გიამბოთ ადამიანზე, რომელმაც თითქმის მთელი ცხოვრება მთებს დაუკავშირა. მას არაერთგზის წარმოუთქვამს: „გამარჯობა, მთებო! ნახვამდის, მთებო"! და ამ სიტყვებში ბორის კრეპსის მთელი შეგნებული ცხოვრებაა. იგი ემშვიდობება მთებს, რათა კვლავ შეხვდეს მათ. ემშვიდობება უფრო ხშირად აღფრთოვანებული, იშვიათად — დაღონებული, დამწუხრებული.

დიახ, მთები სავსეა მოულოდნელობით. მთები გახლავთ სარბიელი სიხარულისა და ტკივილისა, დიდი სიკეთისა და ტრაგედიისაც. ყოველივე ეს უნახავს, განუცდია, აღუბეჭდავს „მფრინავ ოპერატორს", მუხლმოუდლელ მთამსვლელსა და „უიმედო" რომანტიკოსს.

ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ძირფესვიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენას ამა თუ იმ მოვლენასა და ადამიანზე. მუდამ ვფიქრობდი, რომ ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ პიროვნებას აუცილებლად სადღაც მთების ძირში შევხვდებოდი. მე კი ბორის კრეპსს პირველად მყუდრო სატელევიზიო სტუდიაში შევხვდი. შავ-თეთრ კვადრატზე კინოსაპროექციო აპარატს გამოჰყავდა „კლდის ვეფხვის" მიხეილ ხერგიანის შთამბეჭდავი სახე, მომცრო დარბაზში კინოს ენით იწერებოდა მთის ერთ-ერთი ულამაზესი ლეგენდა და იქ დამსწრენი ბედნიერი ვიყავით, რომ პირველი ვუყურებდით მშვენიერი ფილმის პრემიერას.

იქმნებოდა სრული ილუზია ფილმის მთავარ გმირთან ახლო, შინაურული ურთიერთობისა. საწყენიც იქნებოდა, ხერგიანი მისთვის უჩვეულო მდგომარეობაში გვენახა. უფრო გასაგები რომ იყოს, განვმარტავ: ხშირად გმირს გვიჩვენებენ არა მოქმედების დროს, არამედ საზეიმო ვითარებაში, საპატიო კვარცხლბეკზე, მეგობარ-ამხანაგებით გარშემორტყმულს... ასეთ შემთხვევაში დიდი-დიდი მივიღოთ გმირის სულიერი ცხოვრების ზოგადი სქემა, მიზანი კი განუხორციელებელი რჩება. ასეთი მეთოდი განსაკუთრებით წამგებიანია, როცა მთამსვლელობას შეეხება. მთამსვლელს ისედაც არა ჰყავს მაყურებელი, უხეირო ოპერატორის მიერ ზარ-ზეიმის ვითარებაში გადაღებულ კადრებს კი შეუძლია საბოლოოდ დააზნიოს ხალხი.

ვიმეორებ: დიდებულ მთამსვლელზე მიხეილ ხერგიანზე გადაღებულ კინოკადრებს ღრმა ფიქრის, განსჯისა და ადამიანის სულის ყველაზე ძნელად მისაგნებ კუნჭულებში წვდომის უნარი გამოარჩევდა. ეს იყო არა მარტო საქმეში ჩახედული, არამედ ვაჟკაცური ბუნებისა და შემართების ადამიანის ნახელავი. ხერგიანი მომდევნო თაობებისთვის იქნება არა მარტო ამაყი და წარმტაცი ლეგენდა, არამედ რეალური პიროვნება, ხორცშესხმული ხატება, სამუდამოდ უკვდავყოფილი ნიჭიერი კინოხელოვანის მიერ. სწორედ ამაშია ბორის კრეპსის ფასდაუდებელი ღვაწლიც.

მთას არ უყვარს „გასტროლიორები", მთას არ უყვარს ტურისტული განწყობილებით მისული სტუმარი, გინდა მწერალი იყოს ის, გინდა მხატვარი, გინდა კინოხელოვანი. მთა დილეტანტს არ გადაუშლის თავის საიდუმლოს. მთაში წასულმა კაცმა ფუთი მარილი უნდა ჭამოს, ათიათასჯერ დალაშქროს საცალფეხო ბილიკები, თვითონ უნდა გაკვალოს ფეხდაუდგმელი თოვლით დაფარული ფერდობები, რათა შეიგრძნოს ვაჟას სიტყვები, ჩაწვდეს მათ...

მთებზე: „...რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმჩუმად რასმე არ ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რად ზრდით ლაღთა ხარჯიხვთა? ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!".

ამ კითხვებს ვერც მთების ათასში ერთხელ ნახვით გასცემთ პასუხს, ვერც პათეტიკური შეძახილებითა და შეგონებებით. ასე ვერც მთების გულწრფელ სიყვარულს ჩააგონებთ ვისმე.

ბორის კრეპსი უკვე რამდენიმე ათეული წელია „მთის კაცია", მთას ემსახურება, მთას ეთაყვანება... რით უნდა გადაეხადა მას ვალი მთისთვის, რით უნდა გაეზომა სიამოვნება და კმაყოფილება, მონიჭებული მთათა სიამაყით, კეთილშობილებით, სიდიადით? და აი, იგი უკვე მრავალი წელია კინოაპარატით ემსახურება ამაყ სტიქიონს. მას ბარში ჩამოაქვს მწვერვალების სიდიადე, თოვლზე თვალისმომჭრელად აელვარებული მზის სხივები, ჩანჩქერების მხიარული სიმღერები, ჩამოაქვს მთების ფიქრად წოდებული რძისფერი ჯანღი და, რაც მთავარია, მთისა და ადამიანის მეგობრობის ეპოპეის დაუვიწყარი ეპიზოდები.

სადღეისოდ ვერც ერთი კინოხელოვანი, რომელიც მთის თემაზე და მთის ადამიანებზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას დააპირებს, გვერდს ვერ აუვლის კრეპსის მდიდარ კინომემკვიდრეობას. ასე მოიქცნენ ხერგიანზე გადაღებული ფილმის ავტორებიც, რომლებმაც თავიანთ სატელევიზიო სურათში უხვად გამოიყენეს კრეპსის კინოკადრები. და როცა პრემიერა დამთავრდა, დარბაზში სინათლე აინთო, ერთ ტანმორჩილ, კაფანდარა, ჭაღარა კაცს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მისთვის ხერგიანი იყო მთის უიშვიათესი ჯიშის უძლეველი ბერმუხა, მარადიული დღესასწაული...

ფილმის ჩვენების შემდეგ მისთვის ხერგიანი ალბათ შეწყვეტილი სიმღერა იყო.

• • •

„ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდუღს და ჯადმოდის". მთები დუმან. ხანდახან ზვავი თუ ალაპარაკდება მათს განიერ გულმკერდზე. მთები კი დუმან, როგორც მრავალჭირნახული, დაბრძენებული ბერიკაცები. ისინი ინახავენ დიდ საიდუმლოს, რაღაც ძალიან დიდს, როგორც სიცოცხლეს, სიყვარულს... ერთხელ მათს სანახავად ასულ კაცს არც მიესალმებიან. ისინი სტუმართმოყვარენი არიან, ოღონდაც იმათთვის, ვინც სტუმარი კი არ არის, არამედ შინაური.

— ჩემი პირველი ასვლა მთაში... ეს იყო ოცდათექვსმეტ წელს. ექსპედიციას გავყევი ყაზბეგში. პირველად უნდა შემედგა ფეხი მყინვარწვერზე. მე მიჭირს მთაზე ლაპარაკი, იქნებ ამიტომაც ავირჩიე ემოციების გადმოსაცემად კინოს ენა. ძნელი იყო კინოკამერით თოვლიან ფერდობებზე სიარული. მაშინ გადავიღე ჩემი პირველი ფილმი მთაზე — „ყაზბეგის იერიში". ფილმი არ მომეწონა, მაგრამ ყაზბეგის ეპოპეამ სამუდამოდ დამაკავშირა მთასთან, მთამსვლელებთან. მთა ჩემი სიყვარული გახდა, თუმცა პირველად ცუდი მასპინძლობა გამიწია. თითქოს გამომცადაო... რაღა ბევრი გავაგრძელო, მყინვარწვერზე ასვლის დროს მთის ავადმყოფობა შემეყარა. ასე ემართება ალბათ გემზე პირველად მოხვედრილ კაცს. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, თავ-ბედს ვიწყევლიდი — რა გინდოდა მთაში, იქ რა დაგიკარგავს-მეთქი. გავიდა ცოტა ხანი და ვიგრძენი, უმთოდ ცხოვრება არ შემეძლო. მოდი და ამის შემდეგ ნუ ირწმუნებ ერთის ნახვით სიყვარულს!

„... რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო!". მერედა, ვინ თქვა, რომ მთები არ მღერიან, ვინ თქვა, რომ მთები არ იცინიან... თითქმის ოთხი ათეული წელია ბორის კრეპსი ქარსა და წვიმაში, ზვავსა და მეწყერში, ყველანაირ ამინდში დაეძებს მთების ღიმილს, ისმენს მთების სიმღერას, რომ მილიონობით ადამიანს უჩვენოს და მოასმენინოს.

ის მთების ღიმილს დაეძებდა კავკასიონზე, პამირსა და ტიან-შანზე...

ჩვენ განზრახ არ მოვიხსენიებთ ამ ასვლების მონაწილე ლეგენდარულ ქართველ მთამსვლელებს, უშიშარ რაინდებს. ვფიქრობთ, ეს დიდი, ცალკე თემაა და იგი დღემდე ელოდება ღირსეულ მემატიანეს.

ორმოცი წელი მთაში, ადამიანის ცხოვრების დიდი ნაწილი... რომელ შემოქმედს, გინდაც კინოხელოვანს გაუღია ესოდენ დიდი ხარკი? სად იღებს სათავეს ეს უდიდესი თაყვანისცემა და სიყვარული? აი, კითხვები, რომლებიც „მთის ოპერატორთან" საუბრის დროს გვებადება.

ამ კითხვებს მოგვიანებით გაეცემა პასუხი. ახლა კი მოკლედ გაგაცნობთ ბორის კრეპსის ნამუშევრებს.

1936 წელი. „ყაზბეგის იერიში". პირველი ნაცნობობა მთასთან.

1937 წელი. „ხვამლის გამოქვაბული". რომანტიკული ლაშქრობა. ხალხური გადმოცემის მიხედვით თითქოს იქ ინახებოდა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი. ბორის კრეპსი თავისი განუშორებელი კინოაპარატით ახლავს ქართული ალპინიზმის მშვენებას ალიოშა ჯაფარიძეს. „ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ მივაკვლიეთ ხელნაწერს, მაგრამ თითქოს რამდენიმე წუთით გავხდით დიადი ლეგენდის მონაწილენი. ხვამლი, რუსთაველი, ხალხური თქმულება, ალიოშა ჯაფარიძე—ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო ეპიზოდად იქცნენ". ასე იქმნება ფილმი „ხვამლის გამოქვაბული". ჩვენი მხრივ კი დავუმატებთ, რომ ხვამლის გამოქვაბულის დალაშქვრის დროს ბორის კრეპსი პირდაპირ თვალუწვდენელი უფსკრულის პირზე იყო გადმოკიდებული და ასე აღბეჭდავდა ქართველი მთამსვლელების სახიფათო ლაშქრობას.

გაივლის ათიოდე წელი და უკვე ომის შემდეგ კრეპსი ექსპედიციასთან ერთად გაეშურება მრისხანე უშბის ფერდობებზე ალიოშა ჯაფარიძის ნეშტის საძებრად. კრეპსი თვალცრემლიანი ჩაჰყურებს კინოობიექტივს. ასე იბადება მკაცრი, პოეტური ფილმი „უშბა", რომელიც საპატიო დიპლომით დააჯილდოვეს საერთაშორისო მთასვლური ფილმების ფესტივალზე ვენეციაში.

1954 წელი. „პამირზე". ამ ფილმზე მუშაობის დროს ცხადად გამოვლინდა ის ხალასი მეგობრობა, რომელიც ხშირად გამოუცდია ბორის კრეპსს. „მთაში მანამდეც მიგრძვნია უჩვეულო მეგობრობა და ძმობის მადლი. პამირზე ეს ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ გამოვლინდა. მარქსის პიკზე ვართ. უცებ ქარიშხალი ამოვარდა. იძულებული გავხდით კარვები გაგვეშალა ზედ პიკის ფერდობზე. გამოდარებას ველოდით. უცებ საშინელი სისუსტე ვიგრძენი. პულსი მკვეთრად დაეცა, სული მეხუთება, ჰაერი არ მყოფნის, მაგრამ რაოდენ ცუდადაც უნდა იგრძნო თავი მთაში, ერთგული მეგობრებით გარშემოხვეულს, ნურაფრის შეგეშინდება. მთის მეგობრობა ხომ სხვანაირია, ისეთი, სიტყვით რომ ვერ გადმოსცემ. წუთითაც არ მომშორებია ოთარ დეკანოსიძე, სხვებიც თავს მადგნენ ღმერთმანი, ამ მეგობრობამ მიშველა, ვიდრე წამლებმა".

პამირი იყო ქართველ მთამსვლელთა ჭეშმარიტი ტრიუმფი, ხოლო კრეპსისთვის — უიშვიათესი და უძვირფასესი თემა. მან ნიჭიერ ოპერატორს სამართლიანი აღიარება მოუტანა.

1961 წელი. „დაუმთავრებელი დღიური". თქვენ ალბათ ხვდებით, რატომ ჰქვია ფილმს ეს სახელი. ფერად კინოსურათს საფუძვლად დაედო ტიან-შანის მთებში ტრაგიკულად დაღუპული შესანიშნავი ქართველი მთამსვლელის ჯუმბერ მეძმარიაშვილის დღიური. მრისხანე ტიან-შანმა მაშინ სამი ქართველი მთამსვლელი იმსხვერპლა. ხომ ხედავთ, ბორის კრეპსისთვის მთებს მარტო სიხარული არ მოჰქონდა.

მთები, მთამსვლელის ტანსაცმელში გამოწყობილი ტანმორჩილი კაცი განუშორებელი კინოაპარატით, მწვერვალები, ძლიერი, მხნე ადამიანები, ვისთვისაც ესოდენ ახლობელია მთის რომანტიკა, ათასობით კილომეტრი კინოფირი, ფილმები, ფილმები, ფილმები...

ჩვენ გესაუბრეთ კრეპსის კინოშემოქმედების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილზე.

ფილმები ბორის კრეპსის ცხოვრებაა, ფილმები გვიჩვენებენ მთების ღიმილს და გვიმღერიან მთების სიმღერებს. აი, პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. აი, სად იღებს სათავეს ამ მოუღლელი კაცის უსაზღვრო სიყვარული, თვით თაყვანისცემაც კი მთებისადმი.

მთებო! „...როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი".

ა. გოგელია.

## მოძმე რესპუბლიკების გზებზე

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება ავტო-მოტოგადარბენა, რომელიც რუსთავის კომკავშირისა და დოსააფის საქალაქო კომიტეტების თაოსნობით მოეწყო.

მეტალურგიული და ქიმიური ბოჭკოს ქარხნების, ქიმიური კომბინატის, სამშენებლო ორგანიზაციებისა და რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის 28 წარმომადგენელი გაემგზავრა მარშრუტით: რუსთავი — კიროვაკანი—დილიჟანი — კაზახი — კიროვაბადი — ზაქათალა— ლაგოდეხი — რუსთავი.

ავტო-მოტოგადარბენის მონაწილენი 5 დღის განმავლობაში გაეცნობიან მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრებას, მოაწყობენ საინტერესო შეხვედრებს, გამართავენ კონცერტებს, ჩაატარებენ ლექციებს.

გ. რაუდენაძე,
(ჩვენი კორ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მონაწილენი სტარტის წინ.

ავტორის ფოტო.

რუსთავი.



# ფეხბურთი-72

სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

# ფინიშამდე 4 ტური

14 ოქტომბერს შედგა I ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის შეხვედრები.

ქუთაისის „ტორპედოს" გასვლითი მატჩი ჰქონდა ნალჩიკის „ავტომობილისტთან". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

გათამაშების სამივე ლიდერი თამაშობდა საკუთარ მინდორზე და სამივემ გამარჯვება მოიპოვა: ოდესის „ჩერნომორეცმა" მოუგო ლენინგრადის „დინამოს" — 1:0, ტაშკენტის „ფახთაქორმა" — ყარაგანდის „შახტიორს" — 5:1 და დონეცკის „შახტიორმა" — ორჯონიკიძის „სპარტაკს" — 2:0. სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:1, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 4:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 1:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:1, „პამირი" (დუშანბე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 6:0, „ალგა" (ფრუნზე) — „ზვეზდა" (პერმი) 1:1.

„ა" კლასის I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშება დასასრულს უახლოვდება. უმაღლეს ლიგაში გადასვლის კანდიდატთა რაოდენობა სულ უფრო მცირდება და მით უფრო დაძაბული ხდება დავა მათ შორის, ვისაც რეალური შანსი აქვს კვლავ მოხვდეს უძლიერესთა რიგებში. კვლავ იმიტომ, რომ სამივე ეს გუნდი — ოდესის „ჩერნომორეცი", ტაშკენტის „ფახთაქორი" და დონეცკის „შახტიორი", სხვადასხვა დროს უკვე თამაშობდა უმაღლეს ლიგაში. პრეტენდენტებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ, მაგრამ ტაშკენტელებმა 2 გამოტოვებული მატჩი უნდა ჩაატარონ, რაც მათ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.

საინტერესოა, ვის ხვდებიან ლიდერები დარჩენილ ტურებში: — „ფახთაქორი" — იაროსლავლის „შინიკს", ივანოვოს „ტექსტილშჩიკს", ზაპოროჟიეს „მეტალურგს", კრივოი როგის „კრივბასს", დუშანბეს „პამირს" და ქუთაისის „ტორპედოს"; „ჩერნომორეცი" — კიშინიოვის „ნისტრუს", ზაპოროჟიეს „მეტალურგს", დუშანბეს „პამირს" და ფრუნზეს „ალგას"; „შახტიორი" — პერმის „ზვეზდას", სვერდლოვსკის „ურალმაშს", ივანოვოს „ტექსტილშჩიკს" და იაროსლავლის „შინიკს".

აღსანიშნავია, რომ ოდესელებს შინ ჩასატარებელი აქვთ 2 შეხვედრა, „შახტიორსა" და „ფახთაქორს" კი 3-3.

დებულების თანახმად, ბოლო 3 ადგილზე გასული გუნდი ტოვებს I ლიგას. ამ უსიამოვნო პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად იბრძვიან სვერდლოვსკის „ურალმაში", ლენინგრადის „დინამო", ხარკოვის „მეტალისტი", კრივოი როგის „კრივბასი".

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომ." | 34 | 19 | 8 | 7 | 64—31 | 46 |
| „შახტ." (დ.) | 34 | 17 | 12 | 5 | 50—18 | 46 |
| „ფახთაქ." | 32 | 20 | 6 | 6 | 58—27 | 46 |
| „ზვეზდა" | 35 | 14 | 13 | 8 | 39—33 | 41 |
| „კრ. სოვ." | 34 | 12 | 16 | 6 | 44—31 | 40 |
| „ტორპედო" | 33 | 17 | 5 | 11 | 42—26 | 39 |
| „შინიკი" | 34 | 15 | 9 | 10 | 37—35 | 39 |
| „პამირი" | 33 | 12 | 11 | 10 | 44—41 | 35 |
| „სპარტაკი" | 34 | 12 | 10 | 12 | 41—43 | 34 |
| „ალგა" | 34 | 9 | 14 | 11 | 36—35 | 32 |
| „შახტ." (ყ.) | 35 | 10 | 12 | 13 | 33—45 | 32 |
| „მეტალურ." | 34 | 12 | 7 | 15 | 42—41 | 31 |
| „ავტომობ." | 34 | 8 | 15 | 11 | 26—38 | 31 |
| „ნისტრუ" | 34 | 9 | 11 | 14 | 33—42 | 29 |
| „ტექსტილ." | 34 | 9 | 11 | 14 | 30—45 | 29 |
| „სტროიტ." | 34 | 10 | 9 | 15 | 33—52 | 29 |
| „კრივბასი" | 34 | 8 | 10 | 16 | 45—55 | 26 |
| „მეტალის." | 34 | 7 | 12 | 15 | 26—37 | 26 |
| „დინამო" | 34 | 6 | 12 | 16 | 25—47 | 24 |
| „ურალმ." | 34 | 7 | 9 | 18 | 30—56 | 23 |

## II ლიგა III ზონა

13 ოქტომბერს გაიმართა II ლიგის III ზონის გუნდების კალენდარული შეხვედრები:

„მეტალურგი" (ლიპეცკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დილა" (გორი) 4:0, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „დინამო" (ბათუმი) 0:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 2:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ზვეზდა" (ტირასპოლი) 1:1, „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 0:0, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0, „სპარტაკი" (ორიოლი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 33 | 20 | 10 | 3 | 62—28 | 50 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 33 | 18 | 10 | 5 | 55—20 | 46 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 34 | 16 | 10 | 8 | 50—29 | 42 |
| „დინამო" (ბათუმი) | 33 | 14 | 13 | 6 | 50—36 | 41 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 33 | 17 | 7 | 9 | 43—34 | 41 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 33 | 15 | 7 | 11 | 33—25 | 37 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 33 | 16 | 5 | 12 | 44—43 | 37 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 34 | 12 | 11 | 11 | 35—37 | 35 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 33 | 12 | 10 | 11 | 38—30 | 34 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 33 | 13 | 8 | 12 | 32—30 | 34 |
| „დილა" (გორი) | 34 | 11 | 11 | 12 | 33—38 | 33 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 34 | 12 | 8 | 14 | 35—41 | 32 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 32 | 10 | 7 | 15 | 38—40 | 27 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 33 | 10 | 7 | 16 | 38—48 | 27 |
| „დინამო" (სოხუმი) | 33 | 7 | 13 | 13 | 34—48 | 27 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 34 | 8 | 9 | 17 | 30—45 | 25 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 33 | 7 | 11 | 15 | 29—45 | 25 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 34 | 8 | 4 | 22 | 31—71 | 20 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 33 | 4 | 11 | 18 | 27—49 | 19 |

## მოკლედ

**გაიმართა** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები ევროპის I ჯგუფში. შვეციის ფეხბურთელებმა ანგარიშით 7:0 დაამარცხეს მალტის ნაკრები, ხოლო უნგრელებმა ფრედ ითამაშეს ავსტრიის გუნდთან — 2:2. ახლა ამ ჯგუფში უნგრელებს აქვთ 6 ქულა, ავსტრიელებს — 5, ხოლო შვედებს — 3.

**1972** წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, პოლონეთის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში დიდი ანგარიშით დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 3:0. ბურთები გაიტანეს დეინამ (2) და გადოხამ.



# პრიზიორი — „თამაშგარე მდგომარეობაში"

ვარნა, 15 ოქტომბერი. კალათბურთელ ქალთა ბოლო ევროპული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — იუგოსლავიის გუნდი ჯგუფური ტურნირის შემდეგ „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა: უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდა და ახლა ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ VII-XII ადგილებისთვის.

იუგოსლავიელებმა ტურნირის პირველ ეტაპში დააგროვეს იმდენივე ქულა, რამდენიც უნგრეთმა და რუმინეთმა (3). მაგრამ, როცა მსაჯთა კოლეგიამ დაიანგარიშა ბურთების სხვაობა ამ სამ გუნდს შორის, აღმოჩნდა, რომ ბრინჯაოს პრიზიორმა წინ გაუშვა უნგრელი კალათბურთელებიცა და რუმინელებიც. I ადგილი კი სსრ კავშირის ნაკრებს დარჩა, რომელმაც ხუთივე შეხვედრა ადვილად და დამაჯერებლად მოიგო.

აი, რა მდგომარეობა შეიქმნა ბურგასის ჯგუფში პირველი ეტაპის ბოლო მატჩის შემდეგ:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 5 | 0 | 5 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 2 | 3 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 2 | 3 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 2 | 3 |
| პოლონეთი | 5 | 1 | 4 | 1 |
| იტალია | 5 | 0 | 5 | 0 |

ვარნის ჯგუფში სიტუაცია უფრო ნათელი იყო. ჩემპიონატის მასპინძლებმა ბოლო ტურში დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი (60:55), რომელიც მანამდე წაუგებლად მიდიოდა და ფინალში 2 ოქროს ქულით შევიდნენ. ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის განაგრძობენ, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის კოლექტივები.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 5 | 0 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 4 | 1 | 4 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 2 | 3 |
| გდრ | 5 | 2 | 3 | 2 |
| ჰოლანდია | 5 | 1 | 4 | 1 |
| ავსტრია | 5 | 0 | 5 | 0 |

როგორც ხედავთ, I ადგილისთვის ბრძოლის საუკეთესო შანსი აქვთ სსრ კავშირისა და ბულგარეთის კალათბურთელებს. საბჭოთა სპორტსმენების დამაჯერებელი თამაში წლევანდელ ჩემპიონატში უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი შეინარჩუნებენ საპატიო ტიტულს. მძიმე ბრძოლებისთვის მზად არიან მასპინძლებიც, რომლებსაც, სხვათა შორის, ერთი აბსოლუტური საკალათბურთო რეკორდი ეკუთვნით — ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვებისთვის. მართალია, ეს მოხდა 21 წლის წინ ბერლინში ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე, მაგრამ ანგარიში ყველა ცნობარშია შეტანილი, როგორც ოფიციალური რეკორდი. მაშინ ბულგარეთის ქალთა გუნდმა დაამარცხა ფინეთის ნაკრები ანგარიშით 214:17. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატების რეკორდს, აქ პირველობა საბჭოთა კალათბურთელ ქალებს ეკუთვნით: მათ ორი წლის წინ იუგოსლავიელებს მოუგეს — 116:49.

ჩემპიონატის ფინალური მატჩები ვარნაში ტარდება. სსრ კავშირის ნაკრებმა ჯგუფური ტურნირებიდან გადმოყოლილ ორ ქულას კიდევ ორი დაუმატა: დაამარცხა ჯერ საფრანგეთის სპორტსმენები ანგარიშით 63:41, მერე კი ჩეხოსლოვაკიელები — 89:42.

4 ოქროს ქულა აქვს ბულგარეთის გუნდსაც. ოქროს მედლების საკითხს გაარკვევს სსრ კავშირისა და ბულგარეთის კოლექტივების შეხვედრა.

* * *

სურათზე: სსრ კავშირისა და პოლონეთის კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

სახდესის ტელეფოტო.

# ოცდამეოთხედ!

ბუქარესტი, 15 ოქტომბერი. ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელთა ნაკრებმა ოცდამეოთხედ მოიპოვა დევისის თასი — ფინალში ანგარიშით 3:2 დაამარცხა რუმინელთა გუნდი.

ამ ახალ წარმატებას სტუმრებმა გადამდე მიაღწიეს, როცა შეჯიბრების მესამე დღეს მათმა ლიდერმა, უიმბლდონის ჩემპიონმა სტენ სმითმა იონ ცირიაკს სძლია — 4:6, 6:2, 6:4, 2:6, 6:0. ამ შეხვედრის შემდეგ ამერიკელები უკვე მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ — ანგარიშით 3:1 დაწინაურდნენ. ილიე ნასტასემ მხოლოდ მინიმუმამდე შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება, როცა ამერიკელი ტომ გორმანი დაამარცხა — 6:1, 6:2, 5:7, 10:8.

რუმინეთის დედაქალაქში გამართული საინტერესო ბრძოლის პირველი ორი დღის შემდეგ ლიდერობა ამერიკელებმა იგდეს ხელთ — 2:1. ჯერ სმითმა მოუგო ნასტასეს (11:9, 6:2, 6:3), მერე ცირიაკმა — გორმანს (4:6, 2:6, 6:4, 6:3, 6:2), შემდეგ კი სმითმა და ერიკ ვან დილენმა დაამარცხეს ნასტასესა და ცირიაკის წყვილი — 6:2, 6:0, 6:3. დუეტთა მატჩში მოპოვებული წარმატება, რასაც ამერიკელებმა სულ რაღაც 70 წუთში მიაღწიეს, საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა.

### ცხაკაია

სულ ახლახან გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში მოეწყო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ხუთივე აგროგანყოფილებისა და ავტო-სატრაქტორო პარკის გუნდები.

I ადგილი მოიპოვა ავტო-სატრაქტორო პარკის გუნდმა (ხელმძღვანელი ინჟინერ-მექანიზატორი გ. ნიკურაძე), რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი.

აქვე ჩატარდა კოლექტივის პირადი პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ყველაზე ზუსტი მსროლელი აღმოჩნდა პირველთანრიგოსანი ბრიგადირი ხ. ღვინიაშვილი, მომდევნო ადგილები დაიკავეს კოხიამ და თურქიამ, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი სამახსოვრო საჩუქრებით.

ი. წოწონავა,
გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1972-73 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) წარმოებიდან მოწყვეტით:

1. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა: ფარიკაობის სპეციალობით — 1 ადგილი, ფეხბურთის სპეციალობით — 1 ადგილი; 2. სპორტის ფსიქოლოგია — 1 ადგილი.

ბ) წარმოებიდან მოუწყვეტლივ:

1. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა: კრივის სპეციალობით — 1 ადგილი; 2. სპორტის ფსიქოლოგია — 1 ადგილი.

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საბუთების მიღება ყოველდღე 1 ნოემბრამდე, კადრების განყოფილებაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49; ტელეფონი 22-24-49.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, სამთოსათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბაკურიანის საბაგირო გზის ექსპლოატაციის უფროსი

იაკობ ბესარიონის ძე სვანიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02714